

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა და ქვეყნის მდგრადი განვითარება ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შესანარჩუნებლად. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფო ვალდებულია, არ დაუშვას გარემოზე განუზომელი ზემოქმედების შესაძლებლობა და შექმნას ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც გარემოს დაზიანებისკენ მიმართულ ქმედებებთან დაკავშირებით პრევენციულ ფუნქციას შეასრულებენ.

რამდენადაც გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა, მისი მნიშვნელობისა და თავისებურების გათვალისწინებით, სპეციფიკურ, განსაკუთრებულ სამართლებრივ რეგულირებას ექვემდებარება, მათ შორის, კონსტიტუციის დონეზე, აუცილებელია ისეთი სამართლებრივი და ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც სახელმწიფოს მისცემს გარემოზე მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილების, შემცირებისა და შერბილების ადეკვატური რეგულირების შესაძლებლობას.

როგორც მოგეხსენებათ, ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფისა და ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავდა საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ (შემდგომში - კოდექსი), რომელიც გარემოსდაცვითი შეფასების კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაციის პროცესის შედეგად 2017 წლის პირველ ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ იქნა მიღებული. მისი ამოქმედება განსაზღვრულია პერიოდულად, ძირითადი ნაწილი ამოქმედდა 2018 წლის პირველი იანვრიდან, ხოლო სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სამინისტროს კომპეტენციები) ნაწილში კოდექსი ძალაში შევიდა 2018 წლის პირველი ივლისიდან. კოდექსი შესაბამისობაშია ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან და ქმნის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებულ საკანონმდებლო ბაზას, რომლის წარმატებით აღსრულება და განხორციელება არის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა იმისთვის, რომ შესრულდეს კონსტიტუციით დაცული მნიშვნელოვანი დანაწესი და ქვეყნის მიერ ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებები.

როგორც მოგეხსენებათ, დღეს არსებული კანონმდებლობით და ასევე ახალი კოდექსის მიხედვით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა და სტრატეგიულ დოკუმენტებზე დასკვნის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოდ განსაზღვრულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო). 2018 წლის პირველი იანვრიდან, ახალი კოდექსის პირობებში, სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) უწევს გაცილებით მეტი გარემოზე ზემოქმედების შეფასებიდან

დაქვემდებარებული საქმიანობის თაობაზე მსჯელობა, სკრინინგის პროცედურის ორგანიზება და სკოპინგის დასკვნის გაცემა, საჯარო განხილვების ჩატარება (განსხვავებით 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი კანონმდებლობისგან, როდესაც საჯარო განხილვას ატარებდა საქმიანობის განმახორციელებელი, თვითონვე აორგანიზებდა მას და საჯარო განხილვის შედეგებს სამინისტროს წარმოუდგენდა). ასევე საგულისხმოა, რომ დეპარტამენტს 2018 წლის პირველი ივლისიდან, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურასთან ერთად, უწევს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურების განხორციელება და რეკომენდაციების გაცემა. ცალსახაა, რომ ამისთვის დეპარტამენტს ესაჭიროება როგორც დამატებით ახალი ადამიანური რესურსები, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. აღნიშნული საკითხების განხილვა-გაანალიზება კანონპროექტის შემუშავების, სამთავრობო და საპარლამენტო განხილვებისას არაერთგზის იქნა წინა პლანზე წამოწეული. შესაბამისად, მრავალჯერ დაისვა საკითხი დეპარტამენტის გაძლიერებისა და შესაბამისი თანხების სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოთხოვნის თაობაზე. ასევე, არაერთგზის გაესვა ხაზი მოცემულ საკითხს კანონპროექტის სხვადასხვა ეტაპზე განხილვის დროსაც. აგრეთვე, კანონპროექტის განხილვისას არაერთგზის იქნა აღნიშნული, რომ დეპარტამენტის მიერ კოდექსის დებულებების ეფექტიანად აღსრულებისთვის, საჭიროა წვდომა სამინისტროს სისტემაში არსებულ ინფორმაციებთან და მისი ერთიანი მონაცემთა ბაზის სახით ჩამოყალიბება. საბოლოო ჯამში, კოდექსის მიღების პერიოდში, ყველა ზემოთქმული ფაქტორის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩათვალა, სამინისტროს საბიუჯეტო სახსრების გაზრდის ხარჯზე, დეპარტამენტის უცვლელად, სამინისტროს ცენტრალური აპარატში დატოვება და მისი ადამიანური და სხვა საჭირო რესურსებით გაძლიერება. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გარდა დეპარტამენტის ადამიანური რესურსებით გაძლიერებისა, კოდექსის ეფექტიანი აღსრულებისთვის აუცილებელია სწორად დაიგეგმოს ეფექტიანი მმართველობის სისტემა, რომლის საშუალებითაც გაცილებით გაადვილდება კოდექსით დასახული მიზნების შესრულება. კოდექსის ეფექტური აღსრულების და საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ამასთან, დეპარტამენტის მიერ მასზე საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული ახალი ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, სამინისტროს ინსტიტუციური მოწყობის შეცვლა, კერძოდ, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის - გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) სტრუქტურაში გადატანა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამინისტრო, მისი ცენტრალური აპარატის მეშვეობით, ახორციელებს სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას და ადგენს საკითხების პრიორიტეტულობას, რაც ჯამში ქმნის სამინისტროს პოლიტიკას, რომლის აღსრულება უკვე ხორციელდება მის სისტემაში შემავალი აღმასრულებელი უწყებების მიერ, მნიშვნელოვანია, რომ ყველა აღმასრულებელი რგოლი დეცენტრალიზდეს სამინისტროს სისტემაში, ხოლო ცენტრალური აპარატის ძალისხმევა მიმართული იქნეს უშუალოდ პოლიტიკის შექმნაზე. მსგავსი მიდგომა აპრობირებულია ევროპის წამყვან სახელმწიფოებში, სადაც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების/ნებართვის გაცემასთან მიმართებით დეცენტრალიზებული მიდგომა მოქმედებს. კერძოდ, მას გასცემს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ან რეგიონული ორგანო (მაგ. ჩეხეთი, დანია, გაერთიანებული სამეფო) ან უფლებამოსილება დელეგირებულია სამინისტროს სისტემაში არსებული შესაბამისი სააგენტოსთვის (მაგ. ირლანდია, ესტონეთი, ლატვია, სლოვენია, პორტუგალია). ამასთან, აღსანიშნავია, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესი დამყარებულია ღრმა მეცნიერულ შეფასებებზე და პრაქტიკულ

საქმიანობებზე, მათ შორის კვლევებზე და ანალიზებზე რაც წარმოადგენს პოლიტიკის აღსრულების მექანიზმს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დეპარტამენტის სააგენტოში გადატანის შემთხვევაში არსებითად გამარტივდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის ადმინისტრირება, როგორც სააგენტოს ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების, ასევე გარემოსდაცვით საინფორმაციო ბაზებზე წვდომის კუთხითაც. გამომდინარე იქიდან, რომ ახალი კოდექსით გაფართოვდა რეგულირებადი საქმიანობების ჩამონათვალი, ამასთან, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურამ მოიცვა ისეთი საქმიანობები, რომლებიც ამ დრომდე არ საჭიროებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, დაინერგა სკრინინგის და სკოპინგის ეტაპები, რა დროსაც საკმაოდ შემჭიდროვებულ ვადებში უნდა მოხდეს გადაწყვეტილებების მიღება, ახლებურად რეგულირდება საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების ჩატარება, საზოგადოების მონაწილეობის კომპონენტები, დაინერგა ახალი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ინსტრუმენტი, ეს კი პირდაპირ კავშირშია დეპარტამენტის ფუნქცია-მოვალეობების ზრდასთან და შესაბამისად, სამუშაოს მოცულობის ზრდასთანაც.

ასევე, არსებული მდგომარეობით, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს სკრინინგისა და სკოპინგის პროცედურების დადგენილ ვადებში სრულყოფილი და ეფექტიანი განხორციელება. სკრინინგის პროცედურის დროს, დეპარტამენტის მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება ამა თუ იმ საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისთვის, კოდექსის მიხედვით, დადგენილია არაუადრეს 10 და არაუმეტეს 15 დღე. ხოლო სკოპინგის შემთხვევაში დეპარტამენტის მიერ განისაზღვრება გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, ამასთან, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. აღნიშნული პროცედურის განხორციელებას დეპარტამენტი უზრუნველყოფს არაუადრეს 26 და არაუმეტეს 30 დღისა. აღსანიშნავია, რომ კოდექსი არ ითვალისწინებს საექსპერტო კომისიის შექმნასა და შესაბამისი საექსპერტო დასკვნის მომზადებას სკრინინგისა და სკოპინგის პროცედურების განხორციელების პროცესში, როგორც ეს უნდა მოხდეს გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის შეფასების პროცესში. კოდექსი ითვალისწინებს მოსალოდნელი ზემოქმედების სრულყოფილ შეფასებას გარემოს ყველა კომპონენტზე. კერძოდ, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელ უარყოფით შედეგებს და ემისიებს, როგორებიცაა წყლის, ატმოსფერული ჰაერის, მიწის და სასარგებლო წიაღისეულის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, სითბური გამოსხივება და რადიაცია; შესაძლო ზემოქმედების აღწერას ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები), წყალზე (მათ შორის, ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა, ხარისხი), ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგზე (მათ შორის, ნიადაგის მოხსნა), მიწაზე (მათ შორის, ორგანული ნივთიერებები, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია), კლიმატზე (მათ შორის, სათბურის ეფექტის გამომწვევი გაზების ემისია), ლანდშაფტზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის, არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები) და მატერიალურ ფასეულობებზე. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის დროს ასევე უნდა განხორციელდეს პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური მოსალოდნელი ზემოქმედების შესწავლა, რომელიც გამოწვეულია:

- ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენებით, ამ რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით;
- გარემოს დამაზინებელი ფაქტორების ემისიით, ხმაურით, ვიბრაციით, რადიაციით, ნარჩენების განთავსებითა და აღდგენით;
- სხვა, არსებულ საქმიანობასთან ან დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედებით;
- საქმიანობის კლიმატზე ზემოქმედებით და კლიმატის ცვლილებით განპირობებული საქმიანობის მოწყვლადობით;

შესაბამისად, დეპარტამენტმა მხოლოდ საკუთარი ძალებით, საკუთარი თანამშრომლების ინტელექტუალური შესაძლებლობების და სამინისტროს ცენტრალური აპარატში არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე უნდა უზრუნველყოს სკრინინგის და სკოპინგის პროცედურების განხორციელება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. ზემოაღნიშნულ კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესწავლა და შეფასება მოითხოვს როგორც სხვადასხვა დარგში სპეციფიკურ ცოდნას, ისე საველე კვლევების განხორციელებას. დღეს არსებული პრაქტიკით, დეპარტამენტი, დაგეგმილი პროექტის თავისებურებების გათვალისწინებით, იყენებს სააგენტოს და სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების დარგობრივი ექსპერტების ცოდნა-გამოცდილებას. ამასთან აღსანიშნავია, რომ კონკრეტული დაგეგმილი საქმიანობის სირთულიდან და გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების მნიშვნელობიდან გამომდინარე, დეპარტამენტის ინიციატივით დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება, რა დროსაც დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობენ სააგენტოს დარგობრივი ექსპერტები. აღნიშნული გამომდინარეობს სწორედ ადმინისტრაციულ ორგანოს ვალდებულებიდან, სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, დაათვალიეროს პროექტის განხორციელების ადგილი. აქედან გამომდინარე, რეორგანიზაციის შემთხვევაში, პროცედურულად და დროის ეფექტიანობის თვალსაზრისით, უფრო გამარტივდება ერთიანი სისტემის ფარგლებში მომუშავე დარგობრივი ექსპერტების ჩართვა ადმინისტრაციულ წარმოებაში და საპროექტო გარემოსდაცვით დოკუმენტაციაში განხილული მონაცემების გადამოწმება საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ მდგომარეობასთან.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სააგენტო მუდმივად ახორციელებს საველე სამუშაოებს, ადგილზე გაზომვით სამუშაოებს, ძებნა-ძიებით და სხვა სახის კვლევით სამუშაოებს. შესაბამისად, სააგენტოს გააჩნია მნიშვნელოვანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საველე აღჭურვილობა და სატრანსპორტო საშუალებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელი იქნება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საერთო მიზნისთვის განხორციელება, საპროექტო ადგილზე სიტუაციის ვიზუალური/ინსტრუმენტული შეფასება და შედარება სააგენტოში არსებულ მონაცემებთან. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ფუნქციები თვისობრივად ახლოსაა და ხშირ შემთხვევაში იკვეთება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე გამოსაკვლევ ინფორმაციასა და შესაბამის რისკებთან, სწორედ ამიტომ, სააგენტოს მიერ მისი მოვალეობების შესრულების შედეგად გენერირებული ინფორმაცია კრიტიკულად მნიშვნელოვანია გარემოზე ზემოქმედების სრულყოფილად შესასწავლად. კერძოდ, სააგენტოს ფუნქციებში შედის:

- საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, გეოლოგიური პროცესების და გარემოს (ატმოსფერული ჰაერი, ზედაპირული და მიწისქვეშა

წყლები, ზღვა, ნიადაგი) ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგის სისტემების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

- გარემოზე დაკვირვების მონაცემთა დამუშავება და გარემოს მდგომარეობის შეფასება; კლიმატის ცვლილების ფიზიკური პროცესების შესწავლა, ამ ცვლილებებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგების შერბილების და შესაბამისი ადაპტაციის ღონისძიებების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

- საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური და ეკოლოგიური საშიშროების რისკების შეფასებაში მონაწილეობა; ჰიდროსისტემების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით შავი ზღვისა და მდინარეთა აუზების ჰიდრო და ლითოდინამიკური კვლევა და პროცესების პროგნოზირება;

- შავი ზღვის სანაპირო ზოლის, სანაპირო ზონისა და შიდა წყალსატევების ჰიდრობიოლოგიური კვლევების წარმოება, რეკომენდაციების, წინადადებების, მეთოდური და სხვა სახის მასალების მომზადება.

გარემოსდაცვითი მმართველობის, მონიტორინგის და გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების და შერბილების დაგეგმვის პროცესი, ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, წარმოუდგენელია გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემების და განსაკუთრებით, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის გამოყენების გარეშე. შესაბამისად, დეპარტამენტისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემების გამოყენება, განსაკუთრებით იმ ინფორმაციის გამოყენება, რომელიც არსებობს სააგენტოში ერთიანი მონაცემების სახით და ეს არის ის უნიკალური ინფორმაცია, რომელიც იქმნებოდა მრავალი წლის განმავლობაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის სათანადოდ განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა გარემოსდაცვითი ინფორმაციის, განსაკუთრებით გეოგრაფიული გარემოსდაცვითი ინფორმაციის დროულად მოპოვება, რომელიც ამ ეტაპზე ხორციელდება სააგენტოსგან გამოთხოვის გზით, რაც აფერხებს დეპარტამენტის მოვალეობების ეფექტიანად/ოპერატიულად შესრულებას და იწვევს ადმინისტრაციული წარმოების ვადების გაზრდას. გამომდინარე იქიდან, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების სხვადასხვა ეტაპის განხორციელებისთვის, განსაკუთრებით სკრინინგისა და სკოპინგის შემთხვევაში, განსაზღვრულია საკმაოდ შემჭიდროვებული ვადები, სააგენტოს სტრუქტურაში გადასვლა მნიშვნელოვნად გაამარტივებს დეპარტამენტის ბიზნესპროცესებს ინფორმაციის მოპოვების კუთხითაც, რაც როგორც დროის დაზოგვის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი, ასევე წარმოადგენს დეპარტამენტის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას. გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორიაზე ვიზუალური შეფასების შედეგების საფუძველზე შესაძლებელი გახდება გარემოსდაცვითი მონაცემთა ბაზების შევსება/განახლება, რაც ასევე ხელს შეუწყობს სააგენტოში არსებული სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განახლებას და საინფორმაციო ბაზების სრულყოფას.

ახალი კოდექსის მთავარ მიღწევას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების და დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის და ამ მიზნით ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა, რაც, ერთი მხრივ, სრულად ასახავს ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს, ხოლო მეორე მხრივ, თანხვედრაშია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ” კონვენციით (ე.წ. ორჰუსის კონვენცია) განსაზღვრულ რეგულაციებთან, რაც კიდევ უფრო განმტკიცებულია სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებით, რომ სწორედ მან უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობა და გამჭვირვალობა, ნაცვლად საქმიანობის განმახორციელებლისა. თუმცა, ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ აღნიშნული ვალდებულების შესრულება, სახელმწიფოს მხრიდან, დაკავშირებულია არაერთ გამოწვევასთან, როგორცაა ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფინანსურ-მატერიალური ხარჯები და პროცესის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ რამდენჯერმე გაიზარდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალი, საჯარო განხილვის მოწყობის ვალდებულება დეპარტამენტს დაეკისრა როგორც სკოპინგის, ისე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე და ამასთან, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, დეპარტამენტმა აიღო პასუხისმგებლობა საჯარო განხილვის მოწყობამდე შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროება განახორციელოს ყველა შესაძლო საშუალებით. 2018-2019 წლების განმავლობაში დეპარტამენტის თანამშრომლების მივლინებების რაოდენობა სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, მათ შორის მაღალმთიან რეგიონებში, წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნული ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისთვისაც მიზანშეწონილია დეპარტამენტის სააგენტოს სტრუქტურაში გადასვლა, არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ოპტიმალური გამოყენების კუთხით (მათ შორის სავალდებულო მივლინებებისას), რადგან სააგენტოს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომლები თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში იმყოფებიან მივლინებებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შესაბამისად, აღნიშნული რესურსის გამოყენება სავსებით ეფექტიანად იქნება შესაძლებელი ადგილზე ვიზუალური შეფასებების ჩატარებისათვის გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში. ეს, ერთის მხრივ, საშუალებას მოგვცემს, უფრო მეტი სპეციალისტი ჩაერთოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში და მეორე მხრივ, სავსე გასვლების საშუალებით ადგილზე არსებული ვითარების უკეთ შესწავლის კარგი შესაძლებლობა იქნება. ეს კი პირდაპირი გარანტიაა იმისა, რომ კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები ეფექტიანად აღსრულდეს პრაქტიკაში და დაინერგოს ისეთი გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა, რომელიც მაქსიმალურად ახლოს იქნება იმ ევროპულ სტანდარტებთან, რასაც როგორც საქართველოში მიმდინარე სხვადასხვა პროექტების დამფინანსებელი დონორი ორგანიზაციები ითხოვენ, ასევე გვევალება ასოცირების შესახებ შეთანხმებით.

არსებული მოცემულობიდან გამომდინარე, ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, დეპარტამენტის სააგენტოს სტრუქტურაში გადასვლა წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს, რაც საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს კოდექსით დადგენილი ახალი რეგულაციების უფრო ეფექტიან აღსრულებას.

ზემოაღნიშნულის გარდა, კოდექსის ძალაში შესვლიდან დღემდე, პრაქტიკაში გამოიკვეთა რიგი პრაქტიკული და პროცედურული ხარვეზები, ასევე, გარკვეული ტერმინების დაზუსტების საჭიროება. აღნიშნული ეხება როგორც ტერმინების სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყენებას, ასევე, მათ დუბლირებას და არასწორ ინტერპრეტირებას, რის საფუძველსაც კოდექსის სხვადასხვა ნორმები ქმნიან. წარმოდგენილი პროქტით ხდება ამ ხარვეზების გამოსწორება და ტერმინების დაზუსტება.

ასევე, კვლავ პრობლემურია გზშ-ს დაქვემდებარებული გარკვეული, “არავტორიზებული” საქმიანობების „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ რეგულირების ფარგლებში მოქცევის საკითხი. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილი იყო შესაბამისი პროცედურა (მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მოპოვების წესი) და ვადა (2019 წლის 1 იანვრამდე), რომლის განმავლობაშიც 2015 წლის 1 ივნისამდე დაწყებული შესაბამისი საქმიანობების განმახორციელებელ პირებს უნდა მიემართათ სამინისტროსთვის, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. თუმცა, გარკვეული შემთხვევებით გარემოებების გამო, ზემოაღნიშნულ ვადაში ვერ მოხდა შესაბამისი საქმიანობების მიერ ასეთი გადაწყვეტილებების აღება. აქედან გამომდინარე, იმისთვის, რომ შეიქმნას ასეთი საქმიანობების კოდექსის მოთხოვნების მიხედვით „ავტორიზაციის“ დამატებითი შესაძლებლობა, მიზანშეწონილია განისაზღვროს გარკვეული გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც შესაბამის სუბიექტებს მიეცემათ კოდექსით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საშუალება. ამისთვის საჭიროა ცვლილება შევიდეს კოდექსის 47-ე მუხლში და განისაზღვროს ასეთი საქმიანობებისთვის გარდამავალი რეგულირება (მომართვის ვადა და პირობები).

ასევე, კოდექსის ნორმების პრაქტიკაში აღსრულებისას თავი იჩინა რამდენიმე პრობლემამ, რაც დაკავშირებულია კოდექსის დანართებით გათვალისწინებული გარკვეული საქმიანობების დაზუსტებასთან, მაგალითად, შინაარსობრივად დასაზუსტებელია დანართი I-ის 8.3 ქვეპუნქტის რედაქცია (ფოსფოროვანი, აზოტოვანი ან/და კალიუმოვანი სასუქების მარტივი ან/და რთული წარმოება). კერძოდ, სწორი ფორმულირებაა: „მარტივი ან/და რთული ფოსფოროვანი, აზოტოვანი ან/და კალიუმოვანი სასუქების წარმოება“. ასევე, დასაზუსტებელია დანართი I-ის მე-12 პუნქტიც (საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია ან/და მოდერნიზაცია, რომლის მთლიანი მონაკვეთის სიგრძე 5 კილომეტრი ან მეტია). კერძოდ, დანართის I-ის მე-11 პუნქტის თანახმად, გზშ-ის პროცედურას ექვემდებარება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობა, ხოლო ამავე დანართის მე-13 პუნქტით - საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე განთავსებული გვირაბის ან/და ხიდის მშენებლობა. კოდექსის დანართი I-ის მე-12 პუნქტში მითითებული, „საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია ან/და მოდერნიზაცია, რომლის მთლიანი მონაკვეთის სიგრძე 5 კილომეტრი ან მეტია“, საავტომობილო გზის რეკონსტრუქციაში, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ გზებთან ერთად, ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეკონსტრუქციასაც მოიაზრებს, მაშინ, როცა აღნიშნული გზა გათვალისწინებული არ არის მშენებლობასთან დაკავშირებულ ამავე დანართის მე-11 და მე-13 პუნქტებში. შესაბამისად, ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით, დანართი I-ის მე-12 პუნქტს უნდა დაემატოს სიტყვები „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი“.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პრაქტიკიდან და საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2020 წელს განხორციელებული ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის პროცედურის შედეგად შემუშავებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის აღსრულების კონტროლის ანგარიშით“ გაცემული რეკომენდაციებიდან გამომდინარე, ასევე, საჭიროა კოდექსის დანართებში მითითებული გარკვეული საქმიანობების მოცულობების/ზღვრების კორექტირება და დაზუსტება. კერძოდ, კოდექსის დანართი I-ის 26-ე პუნქტის მიხედვით, გზშ-ს ექვემდებარება „წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 25 ჰექტარზე მეტია“. ამასთან, კოდექსის დანართი II-ის თანახმად, სკრინინგს ექვემდებარება „ტორვის ან მყარი

სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ქვიშა-ხრემისა) ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 10 ჰექტარზე მეტია“. კოდექსის ამოქმედებიდან დღემდე დაგროვილმა სტატისტიკამ გვაჩვენა (2018-2020 წწ. მყარი სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკრინინგის პროცედურაზე შემოსული ოცი განცხადებიდან ოცივე გზშ-ს დაექვემდებარა), რომ ზემოაღნიშნული საქმიანობა, სკრინინგის პროცედურის საფუძველზე, ფაქტობრივად 100%-ის შემთხვევაში გზშ-ს ექვემდებარება. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ მყარი სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს, შესაბამისად, საჭიროა სრული გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის ჩატარება, რომ დადგინდეს გარემოზე ზემოქმედების შერბილების და ზიანის შემცირების ღონისძიებები და შემდგომში რეგულარულად მოხდეს სანებართვო პირობების შესრულების მონიტორინგი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული საქმიანობა პირდაპირ იქნეს გათვალისწინებული კოდექსის დანართი I-ში. შედეგად, დაიზოგება როგორც გადაწყვეტილების მიმღები უწყების, ასევე, საქმიანობის განხორციელებით დაინტერესებული პირების დრო და რესურსები. ამ ცვლილების გათვალისწინებით და პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაბამისად უნდა დაკორექტირდეს/დაზუსტდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ზღვრებიც. კერძოდ, მიზანშეწონილია, დანართი I-ში, გზშ-ს დაექვემდებარებულ საქმიანობად განისაზღვროს წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება 10 ჰა-ზე მეტი მოპოვების ადგილის ზედაპირით (ნაცვლად არსებული 25 ჰექტარისა). ამ ცვლილებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სკრინინგს დაექვემდებარებული საქმიანობის ზღვრის დაწევა 5 ჰა-მდე. შესაბამისად, მყარი სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება 5 ჰა-დან 10-ჰა-მდე ფართობის შემთხვევაში დაექვემდებარება სკრინინგის პროცედურას და საქმიანობის მასშტაბის და გარემოზე ზემოქმედების მასშტაბიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება სრული გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჭიროება. ეს იქნება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი, მყარი სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვების რეგულირების ნაწილში, რათა მაქსიმალურად შემცირდეს წიაღისეულის მოპოვების შედეგად გარემოზე ზემოქმედების რისკები და მოპოვების სამუშაოების განხორციელებისას გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი სტანდარტები და მოთხოვნები. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ცვლილებების ამოქმედება დაგეგმილია 2022 წლის 1 იანვრიდან. დამატებით, შინაარსობრივად დაზუსტებას საჭიროებს დანართი II-ის 11.4. ქვეპუნქტიც (10 ჰექტარზე ან მეტ ფართობზე გასართობი პარკის (მათ შორის, ატრაქციონების პარკის) გაშენება).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონპროექტის მიზანია, ჩამოყალიბდეს სამინისტროს ინსტიტუციური მოწყობისა და მმართველობის იმგვარი მოდელი, რომ მაქსიმალურად ეფექტიანად აღსრულდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებები და დაინერგოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ისეთი სისტემა, რომელიც მორგებული იქნება როგორც ქვეყნის არსებულ რეალობას, ასევე მიმართული იქნება ბიზნეს პროცესების გამარტივებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვისკენ. ასევე, კანონპროექტის მიზანია, კოდექსის პრაქტიკული გამოყენების პროცესში გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა და ცალკეული, ტერმინების, რეგულაციების დახვეწა, კოდექსის ნორმების პრაქტიკაში უკეთ აღსრულების უზრუნველსაყოფად.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა;

გამომდინარე იქედან, რომ „ა.ა.ა“ ქვეპუნქტში მითითებული საკითხები წარმოადგენს საკანონმდებლო აქტის რეგულირების სფეროს, აღნიშნული საკითხების მოწესრიგებისთვის საჭიროა ცვლილება შევიდეს შესაბამის საკანონმდებლო აქტში - „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები;

კანონპროექტის მიღების შედეგად, სისტემაში ჩამოყალიბდება ინსტიტუციური მოწყობისა და მმართველობის იმგვარი მოდელი, რომელიც მნიშვნელოვნად გაამარტივებს, გააუმჯობესებს და უფრო ეფექტიანს და ეკონომიკურს გახდის კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით ცვლილება შედის კოდექსის ყველა იმ მუხლში, სადაც გაწერილი იყო სამინისტროს კომპეტენციები გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში. ეს ეხება როგორც გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა და ტრანსსასაზღვრო პროცედურებს, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესსა და კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების საკითხებს. შესაბამისად, ამ მუხლებში „სამინისტროს“ ნაცვლად მიეთითება „სააგენტო“ და აგრეთვე, უწყებათა კომპეტენციების ნაწილში მკაფიოდ გაიმიჯნა სამინისტროსა და სააგენტოს უფლებამოსილებები. სამინისტრო კვლავ იქნება დარგში პოლიტიკის განმახორციელებელი და განსაზღვრავს სფეროს რეგულირებისათვის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს იმ სამართლებრივი აქტების საფუძველზე, რომლის მიღებაც სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს კოდექსიდან გამომდინარე, ხოლო უშუალოდ აღსრულების ნაწილში ფუნქცია-მოვალეობები გადაეცემა სააგენტოს, რომელიც გარემოზე ზემოქმედების პროცესის ეფექტიან და სწორ იმპლემენტაციას მოახდენს პრაქტიკაში.

ნორმის არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან აცილებისა და გამჭვირვალობის მიზნით, ტექნიკურად სწორდება, კოდექსის მე-3 მუხლის „უ“ ქვეპუნქტში მოცემული ტერმინი „სკოპინგის განცხადება“. „უ“ ქვეპუნქტის თანახმად ტერმინი „სკოპინგის განცხადება“ განმარტებულია, როგორც წინასწარი დოკუმენტი, რომელიც დამგეგმავმა ორგანომ ან/და კონსულტანტმა მოამზადა და რომლის საფუძველზეც სააგენტო და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო გასცემენ სკოპინგის დასკვნებს. შესაბამისად, აღნიშნული ტერმინი მოიცავს მხოლოდ სგშ-ის სკოპინგის პროცედურის ჩატარების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტს. რაც შეეხება გზშ-ს, ამ შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას სკოპინგის ანგარიში განცხადებასთან ერთად. ზემოაღნიშნული განცხადებაა წარმოდგენილ პროექტში მოხსენიებული როგორც „სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადება“ და შესაბამისად სგშ-ის ნაწილში აღნიშნული ტერმინით ჩანაცვლების საჭიროება არ არსებობს.

საჯაროობის სტანდარტის გაუმჯობესების მიზნით, კოდექსის მე-5 მუხლს ემატება ახალი 8¹ ნაწილი, რომლითაც ამ მუხლის მე-7 (ცვლილება შესაბამის აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, თუ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ ინსპექტირების საფუძველზე დადგინდება, რომ საქმიანობის განხორციელების ადგილზე არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება გზშ-ის ანგარიშში/გზშ-ისგან გათავისუფლების შესახებ დოკუმენტაციაში ასახულ გარემოებებს ან/და გზშ-ის ანგარიშით/გზშ-ისგან გათავისუფლების

შესახებ დოკუმენტაციით სრულყოფილად არ შეფასდა გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე საქმიანობის უარყოფითი ზემოქმედება), მე-8 (სამინისტროს წინაშე საქმიანობის განმახორციელებლის დასაბუთებული შუამდგომლობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობის შეცვლის მოთხოვნით) და მე-11 (ცვლილება გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში ან გზშ-ის სფეროში გაცემულ შესაბამის აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, თუ ამ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია გარემოს ცალკეული კომპონენტების დამატებითი შესწავლის ვალდებულება და შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით სამინისტროს მიერ დადგენილია პირობის შეცვლის აუცილებლობა) ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სააგენტო უზრუნველყოფს ინფორმაციის თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას.

კოდექსის აღსრულების პრაქტიკიდან გამომდინარე, მე-5 მუხლს ემატება მე-12¹ ნაწილი, რომლითაც სამართლებრივი კუთხით ზუსტდება სააგენტოს უფლებამოსილება სკრინინგის პროცედურისას.

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის 2020 წელს განხორციელებული ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლის პროცედურის შედეგად შემუშავებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის აღსრულების კონტროლის ანგარიშით“ გაცემული რეკომენდაციებიდან გამომდინარე კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნტში შედის ცვლილება, რომლითაც სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად) და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად. აგრეთვე, მე-7 მუხლის მე-4 ნაწილს ემატება „გ“ ქვეპუნქტი.

კოდექსის აღსრულების პრაქტიკიდან გამომდინარე, კოდექსის მე-7 მუხლს ასევე ემატება მე-4¹ ნაწილი, რომლითაც მე-7 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების გარდა, სააგენტოში წარდგენილ სკრინინგის განცხადებას, ასევე უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონის/ქვეზონის და საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ასეთი ფუნქციური ზონის/ქვეზონის არსებობის შემთხვევაში. გარდა ამისა, კოდექსის აღსრულების პრაქტიკიდან გამომდინარე, მე-7 მუხლის მე-6 ნაწილს ემატება „ბ.ზ“ ქვეპუნქტი, რომლითაც ჩნდება სკრინინგის დამატებითი კრიტერიუმი.

ასევე, კოდექსის მე-8 და მე-10 მუხლებს ემატება შესაბამისი ნაწილები, რომელთა მიხედვით, სკოპინგის ანგარიშის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე, ასევე, დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო რელევანტური ინფორმაციის წარმოდგენაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმიანობის განმახორციელებელს ან/და კონსულტანტს, შესაბამისი დოკუმენტაციის ან მისი ნაწილის მომზადებაში.

კოდექსის 47-ე მუხლი ადგენს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელებასთან დაკავშირებით გარდამავალ რეგულირებას, რომელიც „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“

საქართველოს კანონით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ (ამ კოდექსის ძალაში შესვლამდე მოქმედ) საქმიანობებზე ითვალისწინებს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. ამასთან, ამავე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია კონკრეტული საქმიანობები (გამონაკლისები), რომლებზეც არ ვრცელდება ზემოაღნიშნული გარდამავალი რეგულირება. პრაქტიკაში კოდექსის აღსრულების პროცესში გამოვლინდა, რომ აღნიშნული საგამონაკლისო საქმიანობების ჩამონათვალი არ არის სრული, შესაბამისად, ამ ჩამონათვალს ემატება ისეთი ობიექტები, როგორცაა რკინიგზა და მისი დაცვის ნაგებობები, ელექტროგადამცემი ქვესადგურები, მეტროპოლიტენი, მაგისტრალური გაზსადენები, წყალსატევები, რომლებიც გამოიყენება სარეკრეაციო ან/და სამელიორაციო დანიშნულებით, ან/და თევზსაშენი მეურნეობისთვის).

აქვე, ამავე 47-ე მუხლით განისაზღვრება, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობები (შესაბამისი გამონაკლისების გათვალისწინებით), რომელთა განხორციელებაც დაიწყო 2018 წლის 1 იანვრამდე (კოდექსის ამოქმედებამდე) და რომლებსაც არ აქვთ გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება - დაექვემდებარება მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების აღებას. ამასთან, ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად მომართვის ვადად, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, დგინდება 2022 წლის 1 იანვარი.

კოდექსის დანართი I-ში ახალი რედაქციით ყალიბდება 8.3 ქვეპუნქტი და მე-12 პუნქტი. ხოლო დანართი II-ში, შესაბამისად, ზუსტდება 2.1. და 11.4 ქვეპუნქტები.

კანონპროექტით დადგენილია იმ მუხლებისა და ცალკეული ქვეპუნქტების ამოქმედების ვადები, სადაც გათვალისწინებულია ცვლილებები. ამოქმედების ვადები ემთხვევა კოდექსის ამოქმედების ვადებს, რადგან მოგეხსენებათ, არსებული კოდექსი, გზმ-ს ნაწილში, სგმ-ს ნაწილში, ტრანსსასაზღვრო პროცედურებთან მიმართებით და ა.შ. ამოქმედების სხვადასხვა ვადას ითვალისწინებს.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

არ ვრცელდება წინამდებარე კანონპროექტზე რამდენადაც იგი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

კანონპროექტის ძირითადი ნაწილის ძალაში შესვლა გათვალისწინებულია გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს. აღნიშნული ვადა დადგინდა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კანონპროექტის ძირითადი ცვლილებები ეხება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეორგანიზაციას. შესაბამისად, რეორგანიზაციის ღონისძიებების გასატარებლად აუცილებელია გარკვეული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სამინისტრო გაატარებს შესაბამის სამართლებრივ/ადმინისტრაციულ ღონისძიებებს და დაასრულებს რეორგანიზაციის პროცესს. ამასთან, გამოქვეყნებისთანავე შედის ძალაში კანონპროექტის ის ნორმა, რომელიც ეხება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სისტემაში რეორგანიზაციასთან დაკავშირებული შესაბამისი წინასაწარი მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელებას.

რაც შეეხება კანონპროექტით გათვალისწინებულ სხვა ცვლილებებს (კანონპროექტის პირველი მუხლის 38-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და 39-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), რომლებიც სამინისტროს რეორგანიზაციას არ უკავშირდება („გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ დანართებით განსაზღვრული, წიაღის მოპოვების სფეროში გარკვეული საქმიანობების პარამეტრების/მოცულობების დაზუსტება, მათი ძალაში შესვლა გათვალისწინებულია მოგვიანებით - 2022 წლის 1 იანვრიდან. ამ ცვლილებების ძალაში შესვლის მითითებული თარიღი დგინდება იმისთვის, რომ წიაღის სფეროში შესაბამისი საქმიანობების განხორციელებით დაინტერესებულ პირებს, ახალი ცვლილებების გასაცნობად და საკუთარი საქმიანობის ახალი რეგულაციების მიხედვით დასაგეგმად/განსახორციელებლად ჰქონდეთ საკმარისო დრო და შესაძლებლობა.

ა.გ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას).

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი)

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;
 კანონპროექტის მიღება არ გამოწვევს ხარჯების გამოყოფას. ასევე, მისი მიღება არ არის დაკავშირებული დამატებით ხარჯებთან. კანონპროექტის აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება მოხდება შესაბამისი, გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. მათ შორის, დამატებითი ხარჯები არ არის გათვალისწინებული კანონპროექტის ამოქმედების შემდგომ 3 წლის განმავლობაში (ამ ეტაპზე, 2021 წელს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული 930 000 ლარი (მათ შორის 32 დასაქმებულის შრომის ანაზღაურება - 770 000 ლარი).

კოდი	დასახელება	2021-2024 წლების ზღვრული მოცულობები			
		საბიუჯეტო ასიგნებები (ლარში)			
		2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
31 01 02	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ღონისძიებები	930,000	930,000	930,000	930,000

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კანონპროექტით არ იცვლება არსებული - გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოსაკრებლის ოდენობა - 500 ლარი. ასევე, კანონპროექტით არ ხდება სხვა რაიმე გადასახდელის შემოღება ან ოდენობის გაზრდა. გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოსაკრებელი (ისევე როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი მოსაკრებლის სხვა სახეები), „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, მიიძღვრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. ამასთან, ამ მოსაკრებლის სახით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში

აკუმულირებული თანხის ოდენობა დამოკიდებული იქნება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებით დაინტერესებული პირების რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე გავლენას არ მოახდენს, ვინაიდან პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. რაც შეეხება კოდექსით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ხარჯებს, ის მდგომარეობს შემდეგში:

- **საზოგადოებრივი ექსპერტები:** გარემოზე ზემოქმედების შეფასების, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში კოდექსი ითვალისწინებს შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებას. ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, სამინისტრო, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ინდივიდუალურ პროექტებზე ქმნის საექსპერტო კომისიას. საექსპერტო კომისიაში, სამინისტროს ან მის სისტემაში შემავალი დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობენ საზოგადოებრივი ექსპერტები (სამინისტროს მიერ მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე). აღსანიშნავია, რომ საექსპერტო კომისიაში, სამინისტროს ან სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების წარმომადგენელთა მონაწილეობა არ ანაზღაურდება. რაც შეეხება საზოგადოებრივ ექსპერტთა შრომის ანაზღაურებას, აღნიშნულ საკითხს არეგულირებს „საზოგადოებრივ ექსპერტთა შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 19/04/2018 №2-256 ბრძანება. კერძოდ, საზოგადოებრივი ექსპერტის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება თითოეულ ექსპერტიზაზე 300 ლარით, საზოგადოებრივი ექსპერტის, როგორც საექსპერტო კომისიის თავმჯდომარის შრომის ანაზღაურება - 400 ლარით, უცხო ქვეყნის სუბიექტის (ფიზიკური ან იურიდიული პირი) შრომის ანაზღაურება განისაზღვრება სამინისტროსა და აღნიშნულ სუბიექტს შორის შეთანხმებით. საზოგადოებრივი ექსპერტების მომსახურების საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მაგალითად, 2019 წელს გაფორმდა 62 ერთჯერადი ხელშეკრულება, ხოლო 2020 წლის მოცემული ეტაპისთვის - 60-მდე. რაც შეეხება საზოგადოებრივ ექსპერტთა შრომის ანაზღაურების საერთო ოდენობას, აღნიშნულმა, 2019 წელს შეადგინა 23,282 ლარი, ხოლო 2020 წლის 1 სექტემბრამდე მონაცემებით - 19,800 ლარი.

- **დეპარტამენტის შტატები:** 2018 წლის საშტატო ნუსხით დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 34 ერთეულით. ამ რაოდენობის განსაზღვრა დაეფუძნა არსებული კადრების გათვალისწინებით ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასებით ანალიზს და კანონმდებლობის ცვლილებით გამოწვეულ სამუშაოს გაზრდილ მოცულობას. შემდგომში დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობა შემცირდა 22 ერთეულამდე, ამასთან, დამატებით საჭრო გახდა სამინისტროს 2019 წლის საშტატო ნუსხით არსებული ვაკანტური თანამდებობების მობილიზება. 2020 წელს საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 32 ერთეულით. ამასთან, ამავე წელს დეპარტამენტს დაემატა ახალი სტრუქტურული ერთეული - სკრინინგის სამმართველო. შესაბამისად, ამჟამად დეპარტამენტში 4 მეორადი სტრუქტურული ერთეულია: ა) გარემოსდაცვითი შეფასების სამმართველო; ბ) სტრატეგიული დაგეგმვის სამმართველო; გ) ინტეგრირებული მართვის სამმართველო; დ) სკრინინგის სამმართველო.

გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი	
---------------------------------------	--

2018- 2019	
შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება	რაოდენობა
სულ	22
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	1
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	3
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	11
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	2

გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი	
2020	
შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება	რაოდენობა
სულ	32
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე	1
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	4
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	14
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4
პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	4

2018 წელს დეპარტამენტის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 386,209 ლარი, 2019 წელს - 469,272 ლარი, ხოლო 2020 წლის 1 სექტემბერის მდგომარეობით - 337,531 ლარი.

დეპარტამენტის ბიუჯეტი 2018-2020 წლებში: 2018 წელი: ფაქტიური - 414, 452 ლარი; 2019 წელი: ვინაიდან, დეპარტამენტს არ ჰქონდა ცალკე კოდი, აღნიშნულ რიცხვს ვერ ვუთითებთ; 2020 წელი: გეგმიური - 610, 000 ლარი.

ვინაიდან 2019 წელს, დეპარტამენტის სამტატო რიცხოვნობა განსაზღვრული იყო 22 ერთეულით, კოდექსის ნორმების პრაქტიკაში ეფექტიანი განხორციელებისთვის, 2019 წლის ივლისიდან, დამხმარე მოსამსახურის ფუნქციების შესრულების მიზნით, გაფორმდა 10 შრომითი ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 71,056 ლარი. ვინაიდან 2020 წელს დეპარტამენტის სამტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 32 ერთეულით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს, ზემოაღნიშნული ვაკანტური ადგილების დასაკავებლად, გასამართი კონკურსის დასრულებამდე, გაუფორმდათ შრომითი ხელშეკრულება 2020 წლის 12 მარტამდე. 2020 წელს, მათმა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 26,500 ლარი.

- **საჯარო განხილვები:** კოდექსი ითვალისწინებს სკოპინგის დასკვნის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის ეტაპებზე სავალდებულო საჯარო განხილვის ჩატარებას, საჯარო განხილვა ასევე ტარდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში. საჯარო განხილვის ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელია სამინისტრო. დაგეგმილი საქმიანობის თვითმმართველი თემის ტერიტორიაზე განხორციელების შემთხვევაში საჯარო განხილვა უნდა ჩატარდეს საქმიანობის განხორციელების ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში საჯარო განხილვა ტარდება სამინისტროს მიერ განსაზღვრული სათანადო ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. 2018 წელს ჩატარებული საჯარო განხილვების რაოდენობამ შეადგინა 91, 2019 წელს - 293, ხოლო 2020 წლის 1 ივნისამდე - 35 (2020 წელს ჩატარებული საჯარო განხილვების შედარებით მცირე რაოდენობა განპირობებულია კოვიდ-19 პანდემიის გამო შექმნილი მდგომარეობით. კერძოდ, „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კოდექსით გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებები (რომელთა მიმდინარეობისას კოდექსით გათვალისწინებული საჯარო განხილვები ვერ ჩატარდა/ჩატარდება ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით) განხორციელდა საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე და ადმინისტრაციულ წარმოებაში საზოგადოების მონაწილეობა და მის მიერ მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა უზრუნველყოფილ იქნა წერილობით ან/და ელექტრონული საშუალებით, კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.)

ზემოაღნიშნული საჯარო განხილვების ჩატარებისთვის სამივლინებო ხარჯებმა შეადგინა: 2018 წელს - 7, 295 ლარი, 2019 წელს-12,805, ხოლო 2020 წლის 1 სექტემბრამდე - 4,135 ლარი. აქვე ასევე მხედველობაშია მისდები, რომ იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო ტერიტორიის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობას იღებენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ან სხვა დაწესებულებების თანამშრომლები, მათი სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება შესაბამისი დაწესებულებების მიერ და აღნიშნული არ აისახება მითითებულ რიცხვებში.

აღსანიშნავია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ აღსრულებისათვის საჭირო თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი გათვალისწინებულია საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში. კერძოდ: გათვალისწინებულია 2020 წელს დეპარტამენტის თანამშრომლების (32 ერთეული) შრომის ანაზღაურების მნიშვნელოვანი ნაწილი, გზმ-სა და სგმ-ს პროცესში ჩართული საზოგადოებრივი ექსპერტების შრომის ანაზღაურება, საჯარო განხილვებისა და საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად საჭირო თანხები. ზემოაღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება გათვალისწინებულია ქვეპროგრამის - „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ღონისძიებები“ (31 01 02) ფარგლებში. კოდექსში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, არსებულ ბაზაზე, უკვე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს სისტემაში, დეპარტამენტი იმუშავებს იმავე საკითხებზე, რაზეც სამინისტროს აპარატში უწყევდა მუშაობა. ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განკარგვის უფლება მიენიჭება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს. ამავდროულად, სააგენტოს სისტემაში არსებობის პირობებში დაიზოგება თანხები მივლინებების დასაფინანსებლად, რადგან სააგენტოს თანამშრომლები კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებას, ხშირ შემთხვევაში, უზრუნველყოფენ რეგიონებში მათი გეგმიური მივლინებების დროს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით;
კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;
კანონპროექტით გათვალისწინებულია, რომ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოსათვის წარდგენილი სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად). შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელს წარმოემოზა GIS (გეოინფორმაციული სისტემები) ფაილების მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია შესაბამისი ობიექტების ფართობსა და მდგომარეობაზე. რაც შეეხება დაინტერესებული პირების მიერ გასაწევ სხვა ხარჯს - გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოსაკრებელს, მისი ოდენობა რჩება უცვლელი - 500 ლარი. შესაბამისად, ამ მხრივ, კანონპროექტი დამატებით ფინანსური შედეგებს არ გამოიწვევს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;
ასეთი არ არსებობს.

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:
კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;
ასეთი არ არსებობს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებისას კონსულტაციების გავლა მოხდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, მის სისტემაში შემავალ ორგანოებთან, თბილისის მუნიციპალიტეტთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების), სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;
ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: მაია ბითაძე, ხატია წილოსანი, გოგი მეშველიანი, ნინო ლაცაბიძე, ირაკლი ზარქუა, ალექსანდრე დალაქიშვილი, ედიშერ თოლორაია, ირაკლი ხახუბია, ნოდარ ტურძელაძე, დავით კაჭარავა.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: მაია ბითაძე, ხატია წილოსანი, გოგი მეშველიანი, ნინო ლაცაბიძე, ირაკლი ზარქუა, ალექსანდრე დალაქიშვილი, ედიშერ თოლორაია, ირაკლი ხახუბია, ნოდარ ტურძელაძე, დავით კაჭარავა.